სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 214

ქ. თბილისი ,, 23” აგვისტო 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ალექსი გახარიას სახით და მეორეს მხრივ შპს. „კომპანია Geosm“ (შემდგომში ”მიმწოდებელი), მისი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” 3-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ს[1]” ქვეპუნქტისა ”გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე - 2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მარიამ მირესაშვილის 2019 წლის 23 აგვისტოს N 15/02-1321 მოხსენებითი ბარათის თანახმად: “ფაილები***”- ს (CPV 22852100) შესყიდვა.***

N	საქონლის დასახელება	Cpv კოდი	რაოდენობა შეკვრა	ერთეულის ფასი	ფასი
1	**ფაილი** ECONOM -სერია 30 მიკრონი Helio A4 100	**32341000**	**50**	**3.96**	**198.00**
ჯამი:					**198.00**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: ***198 (ას ოთხმოცდათვრამეტი) ლარს.***

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ***სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულის ახსრების ფარგლებში.***

4. *ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირად, გარდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა განისაზღვრება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი მარიამ მირესაშვილი.

5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს, მიმწოდებლის ხარჯით 2019 წლის 30 აგვისტომდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61.

6. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

6.1. ***შემსყიდველი უფლებამოსილია:***

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.2. ***შემსყიდველი ვალდებულია:***

- უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
- უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ***ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი***

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი მარიამ მირესაშვილი.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი***თ.***

8. ***პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის***

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ***დაუძლეველი ძალა***

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9.2. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ***ხელშეკრულების მოქმედების ვადა***

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. ***დავები და მათი გადაწყვეტის წესი***

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ***სხვა პირობები***

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	**"მიმწოდებელი"**
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შ.პ.ს. „კომპანია GEOSM“
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის #47 / ფაქტ.:
	მ.ასათიანის#14,
ს/კ 205224700	ს/კ 404873614
მ/ბ _ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „პროკრედიტ ბანკი”
ბ / კ TRESGE22	ბ/კ MIBGGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _7 0904 7004	ანგ.№ GE45PC0223600100010827
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ნინო თოფურიძე	თეიმურაზ ახობაძე

Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2019.08.27 17:08:13 +04'00'